



E - GOVERNMENT . GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #19

ნოემბერი, 2012

გამოშვებაში წაიკითხავთ

TWINNING-ის პროექტი იწყება **1**

GITI 2012 **2**

GITI 2012-ის ფარგლებში ინფორმაციული უსაფრთხოების ვორკშოპი გაიმართა **3**

საქართველოში ონლაინ რეჟიმში პირველი კომპანია დარეგისტრირდა **3**

ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვაში **4**

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დაძმობილების (TWINNING) პროექტი დაიწყო



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ და ავსტრიის ევროპული ინტეგრაციისა და ეკონომიკური განვითარების სააგენტომ სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“ დაძმობილების (TWINNING) პროექტის დაწყების ოფიციალურ ღონისძიება გამართეს.

დაძმობილების (TWINNING) პროექტის მიზანია საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით გრძელვადიანი

თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

ღონისძიების მონაწილეებს გახსნილი სიტყვით მიმართეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრე ბარამიძემ** და ევროკავშირის ელჩმა საქართველოში **ფილიპ დიმიტროვმა**.

პროექტი საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების მხრივ სამ ძირითად ეტაპად იყოფა: 1) აღნიშნული მიმართულებით ევროკავშირის ქვეყნებში ადაპტირებული პრაქტიკის საუკეთესო მოდელების ქართულ რეალობაში იმპლემენტაცია; 2) შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტების დანერგვა 3) ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა მძლავრი ინსტიტუციონალური მექანიზმის - კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის (CERT) მეშვეობით.



„პროექტის ძირითადი მიზანია იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთვის არსებითი დახმარების გაწევა, რათა ეფექტურად შევძლოთ ზოლო ხანებში ინიცირებული ელექტრონული მმართველობის სტრატეგიის განხორციელება (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge

იუსტიციის სახლი

MY.GOV.GE

სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალი

www.my.gov.ge



www.cra.gov.ge

საპროკურორული ცენტრი



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matse.gov.ge

საპარამეტრული საკანონმდებლო მაცნე

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1)

მოხარული ვარ, რომ ევროკავშირი, სხვა პარტნიორებთან ერთად აქტიურად არის ჩართული აღნიშნულ პროცესში. გვქონდეს შესაძლებლობა, რომ გავიაზროთ ევროკავშირის ქვეყნებში ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკა და მჭიდროდ ვითანამშრომლოთ მათთან ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ჩვენ ვაფასებთ ჩვენი პარტნიორებისა და დონორების მისწრაფებას დაეხმარონ საქართველოს ინფორმაციული საკომუნიკაციო სფეროს განვითარებაში.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

პროექტის ხანგრძლივობაა 18 თვე. სავარაუდო ბიუჯეტი - 1.2 მილიონი ევრო.

„ელ-მმართველობის მიზანია საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობის და ხარისხის გაძლიერება და გაზრდა. ელ-მმართველობა ამარტივებს კომუნიკაციას მოქალაქეებისა და ბიზნესებისთვის, ამცირებს ხარჯებს და ამავდროულად მნიშვნელოვნად აჩქარებს შიდა პროცედურებს. საჯარო სერვისების ხარისხი და გამჭვირვალობა იზრდება ყველას საკეთილდღეოდ. ასე რომ, ტერმინი ელ-მმართველობა თანამედროვე სახელმწიფოს სიმბოლოდ მოიაზრება.“ - კრისტიან რუპი, სპიკერი, ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცელარია.

პროექტის ხორციელდება ევროკავშირის „დამმობილების“ პროგრამის ფარგლებში, რაც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოების საჯარო დაწესებულებების თანამშრომლობას მათ პარტნიორებთან ევროკავშირის ქვეყნებში.

საქართველოს კიბერ უსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების V საიუბილეო კონფერენცია GITI 2012



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ICT ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“ დასრულდა რიგით მე-5 საიუბილეო ყოველწლიური რეგიონული კონფერენცია (გამოფენა, დაჯილდოება), რომლის მთავარი თემა იყო კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებები. ღონისძიების დასკვნით ნაწილში წლის საუკეთესო IT პროექტების ავტორები დააჯილდოეს.

ღონისძიება გახსნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ **დავით ჯანდიერმა**. კონფერენციის მონაწილეებს გახსნილი სიტყვით ასევე მიმართეს ICT ბიზნეს საბჭოს პრეზიდენტმა **გიგა შუბითიძემ**, ავსტრიის ელექტრონული მმართველობის ფედერალურმა

აღმასრულებელმა მდივანმა **კრისტიან რუპმა** და თურქეთის პრემიერ მინისტრის ადმინისტრაციული განვითარების ხელმძღვანელმა **არსლან ავსარბემ**.

წლებანდელმა კონფერენციამ, რომლის დევიზია „ინფორმაციული ტექნოლოგიები მომავლისთვის“, რეკორდული რაოდენობის მონაწილეებს უმასპინძლა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი, რომლებმაც განიხიეს კიბერ უსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების საკითხები, წარმოადგინეს წლის განმავლობაში შემუშავებული ინოვაციური IT პროექტები და გაეცნენ აღნიშნული მიმართულებით ამა თუ იმ ქვეყნის მიერ მიღწეულ წარმატებებს.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო როგორც საქართველოში, ისე რეგიონში ელექტრონული მმართველობის განვითარების პროექტებს, ასევე ამ პროექტებში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის პროცესს.

„წლებანდელი ღონისძიება საიუბილეოა. ხუთი წლის მანძილზე ყოველი ახალი კონფერენცია განვითარების ახალ საფეხურზე გადადიოდა. დღეისათვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ICT ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით გამართული ღონისძიება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო მასშტაბის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა.“ - აღნიშნავს **გიგა შუბითიძე**, ICT ბიზნეს საბჭოს პრეზიდენტი.

კონფერენციის მე-3 სამუშაო დღე მთლიანად დაეთმო კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებს.

„ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება წარმოუდგენელია ინფორმაციული უსაფრთხოების გადაწყვეტილებების განვითარების გარეშე. დღეისათვის საქართველო ელექტრონული მმართველობის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან ეტაპს გადის. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ იქმნება ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არაერთი მომსახურება და ამით მარტივდება და თვისობრივად ახალი ეტაპზე გადადის სახელმწიფოსა და მოქალაქის შორის ურთიერთობა. ეს პროცესი კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან. ამდენად, კონფერენციას ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2)

კონფერენცია ტრადიციულად დაჯილდოების ცერემონილით დასრულდა. 15 ნომინაციაში როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან გამოვლინდა 15 გამარჯვებული.

წლის განმავლობაში შექმნილი საუკეთესო IT პროექტებისთვის გრან-პრის მფლობელი გახდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

GITI 2012-ის განსაკუთრებული მხარდამჭერია USAID-ის პროექტი ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა (EPI), ასევე NATO-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა.

სპონსორები: HP, Microsoft, Cisco, Oracle, UGT, Orient Logic, Janus.

GITI 2012-ის ფარგლებში ინფორმაციული უსაფრთხოების ვორქშოპი გაიმართა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებმა GITI 2012-ის ფარგლებში ინფორმაციული უსაფრთხოების თემაზე ვორქშოპი გამართეს. ღონისძიება კონფერენციის პარალელურად მოეწყო, რომელსაც ინფორმაციული უსაფრთხოების თემატიკით დაინტერესებული აუდიტორია დაესწრო.

ვორქშოპის პროგრამის მიხედვით ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე პრეზენტაციები გააკეთეს სამმართველოს წარმომადგენლებმა. მიმოხილულ იქნა საქართველოში არსებული ინფორმაციული

უსაფრთხოების ლეგალური ბაზა, ინფორმაციული უსაფრთხოების ახალი გამოწვევები, CERT.GOV.GE ჯგუფის მიერ გაწეული სამუშაო და სხვა.

„ასეთი ფორმატის შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ საშუალება გვქონდა მიზნობრივი აუდიტორიისთვის მიგვეწოდებინა აქტუალური ინფორმაცია. წარმოდგენილმა პრეზენტაციებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მნიშვნელოვანი იყო, რომ დამსწრე საზოგადოებას კიდევ უფორ დეტალურად ვესაუბრეთ CERT.GOV.GE ჯგუფის დანიშნულებაზე და ამ ჯგუფის მიერ გაწეულ სამუშაოებზე.“ - **ირაკლი ლომიძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

საქართველოში ონლაინ რეჟიმში პირველი კომპანია დარეგისტრირდა



2012 წლის 30 ნოემბერს საქართველოში ონლაინ რეჟიმში პირველი კომპანია დარეგისტრირდა. მოქალაქის პორტალზე MY.GOV.GE ბიზნესის ონლაინ დარეგისტრირების ფუნქციით შპს მერკატუს კაპიტალის დამფუძნებელმა ვლადიმერ ტყეშელაშვილმა ისარგებლა.

ამის აღსანიშნავად ვლადიმერ ტყეშელაშვილს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ ირაკლი გვენეტაძემ სპეციალური სერთიფიკატი გადასცა.

„ახალი ტექნოლოგიების განვითარებას ყოველთვის დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს. მოხარული ვარ, რომ პირველი

აღმოვჩნდი, ვინც საქართველოში კომპანია ონლაინ რეჟიმში დაარეგისტრირა. ეს არის ძალიან მარტივი პროცედურა, რომელიც სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად ხორციელდება. კომპანიის დარეგისტრირება 100%-ით ონლაინ რეჟიმში ხდება, რაც ძალიან მოსახერხებელია.“ - **ვლადიმერ ტყეშელაშვილი**, შპს მერკატუს კაპიტალის დამფუძნებელი.

ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვაში



USAID-ის დემოკრატიული მმართველობის პროგრამა საქართველოში (G3) ორგანიზებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ჩაატარა ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვაში (Lead implementation) საერთაშორისო სტანდარტის - ISO 27001-ის მიხედვით, აგრეთვე ტრენინგი ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის მართვაში. ტრენინგები განახორციელა სფეროში წამყვანმა ბრიტანულმა კომპანიამ - BSI (<http://www.bsigroup.com/>). ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების 15-მა სპეციალისტმა. ტრენინგის მონაწილეებმა ჩააბარეს სასერთიფიკაციო გამოცდა (ISO 27001 Lead implementation) და გახდნენ ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვის სერთიფიცირებული სპეციალისტები.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge;
www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.